

ნათია არველაძე
დოქტორანტი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო

ეპითეტების თარგმნისათვის ანტიკური ეპიკური პოეზიიდან (ჰომეროსი, აპოლონიოსი, ვერგილიუსი)

თეზისები: რამდენადაც ანტიკური ეპიკური პოეზიის ძირითად საიდენტიფიკაციო ნიშანს ექსპრესიულობა წარმოადგენს, სტილისტური ხერხები და განსაკუთრებით ეპითეტი მისი წამყვანი მხატვრული ელემენტია. საკვლევ ავტორთა შემოქმედებაში ეპითეტი ძირითადი ლექსიკურ-გრამატიკული ერთეულია, რომელიც მნიშვნელოვნად აძლიერებს მკითხველის რეალისტურ აღქმას და ახდენს სიტუაციის ინტენსიფიკაციას. ეპითეტს ერთდროულად გააჩნია როგორც შემეცნებითი, ასევე, ესთეტიკურ-ემოციური ბუნება.

ანტიკური ეპიკური ტექსტების ქართულ ენაზე გადმოცემის დროს ეპითეტების თარგმნას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ჰომეროსის, აპოლონიოსისა და ვერგილიუსის ტექსტების (ილიადა, ოდისეა, არგონავტიკა, ენეიდა) თარგმანებში, ეპითეტების ქართულ ენაზე გადმოცემის საკითხში რამდენიმე განსხვავებულ რეალობას ვხვდებით:

ეპითეტები გადმოცემულია აბსოლუტური სიზუსტით, დაცულია როგორც კონტექსტუალური, ასევე გრამატიკული და ლექსიკური მხარეები. საილუსტრაციოდ, შეგვიძლია მოვიყვანოთ მაგალითები: *φιλοκτεανώτατε* — გაუმადლარი (აგამემონი); *ἀντιθέα* — ღმერთკაცი (ოდისევსი); *δυσσυχής* — ბაქია (მამაკაცები); *oculus referent* — თვალშეუდგამი (გოდოლები).

ერთსა და იმავე ეპითეტის გადმოსაცემად გამოყენებულია სხვადასხვა ლექსიკური ერთეული, რომელთაც აქვთ მსგავსი სემანტიკური მნიშვნელობა: *κορσθαίσιος* — ზურმოელვარე / ჩაჩქანმოელვარე; *μαρσαλέας* — მამაცი /ვაჟკაცი / უშიშარი;

ἀριστέως — სახელოვანი, პატივცემული; *pulcherrima* — ლამაზი, მშვენიერი.

ეპითეტები გადმოცემულია სემანტიკური მხარის დაცვით, მაგრამ მეტაფორულად — განსხვავებული ლექსიკური ერთეულით. ეპითეტის თარგმნისას დაცულია კონტექსტუალური და ენობრივი მახასიათებლები. აღნიშნულს ეპიკოსი ავტორები მიმართავენ შინაარსის უფრო მხატვრულად გადმოცემისა და მკითხველის ემოციური ინტენსიფიკაციის მიზნით: *ὁ δ' ἦϊε νυκτὶ ξοικῶς* — პირლამიანი (აპოლონი); *στρυγερὸς* — თავზარდამცემი სახით და ღონით (ჰერაკლე); *scelerus* — უპატიოსნო (დიომედე); *ingens* — ცად მიმსწრაფი (კედლები).

ეპითეტები გადმოცემულია მეტაფორულად, განსხვავებული ლექსიკური ერთეულით, რომელიც მართალია შეესაბამება კონტექსტს, მაგრამ სემანტიკურად იმდენად განსხვავდება ორიგინალისგან, რომ შესაძლოა მკითხველმა მოახდინოს მისი განსხვავებულად აღქმა: *ἄθανάτοιον* — სურნელოვანი (თმები); *νυκτὶς* — ველური (ჰერაკლე); *ἀταρτηρὸς* — ჭკუადამთხვეული (მენტორი); *semivir* — საჭურისი (ენეასი); *socius* — კეთილი სიტყვა; *urbs* — ბედკეთილი და მეომარი, სიუხვით სავსე (კართაგენი).

ეპითეტები სრულიად განსხვავებულია ორიგინალი ტექსტისაგან. ეპითეტები თარგმნილია სრულიად განსხვავებულად: *ὕβρις* — კუშიტი (ჰერაკლე); *obnixi* — გალესილი ან ჩამატებული მთარგმნელის მიერ: ბედისწერის გარდუვალი საქმე; უღმერთო (სასიძოები); *მშობელი მამის მკვლეელი* (ეგისტე) — ეპითეტი ავტორს ჩამატებული აქვს კონტექსტის მიხედვით, თუმცა ორიგინალ ტექსტში ამგვარი ეპითეტი არ ფიქსირდება (*δολόμητιν, ὃ οἱ πατέρα κλυτὸν ἔκτα*).

ანტიკურ ეპიკურ პოეზიაში ეპითეტების თარგმნისას ამგვარ ლექსიკურ ვარირებას სამი ძირითადი მიზეზი აქვს: სამიზნე ენაში არ მოიპოვება ლექსიკური ერთეული, რომელიც თვითმყოფადია ორიგინალ ტექსტში გამოყენებული აღმწერის გადმოსაცემად; ავტორი იძულებულია კონტექსტისა თუ სიტუაციის შესაბამისად შეცვალოს ეპითეტი იმ მიზნით, რომ ის აღქმადი გახდეს სათარგმნ ენაზე მკითხველი სუბიექტებისთვის; ავტორს სურს, ტექსტს მხატვრული მრავალფეროვნება შემატოს.

საკვანძო სიტყვები: ანტიკური ეპიკური პოეზია, ეპითეტი, თარგმანი, ჰომეროსი, აპოლონიოსი, ვერგილიუსი

Abstract: As long as expressiveness is the main identification point of the ancient epic poetry, stylistic devices and especially epithet is the basic artistic feature. In the works by the research authors epithet is the main lexical-grammatical unit, which highly enhances the readers' realistic perception and intensifies the situation. Epithet has both a cognitive and an aesthetic-emotional nature.

The translation of epithets is of particular importance while expressing the texts from the ancient epic poetry in Georgian language. During the translation of the texts by Homer, Apollonius and Vergil (*The Iliad, Odysseus, Argonautica, Aeneid*), in the issue of translating epithets into Georgian, we come across several different realities:

Epithets are presented with absolute accuracy, preserving contextual, grammatical and lexical aspects. To illustrate, we can give examples: *φιλοκτεανώτατε* – *greedy* (Agamemnon); *ἀντιθέω* – *godlike* (Odysseus); *δυσσαυχής* – *boastful* (men); *oculus referent* – *strongholds* (towers).

There are used different lexical units having the same semantic meaning for conveying the same epithet: *κορυθαίολος* – *with the shiny shield / with the shiny helmet*; *θαρσαλέως* – *brave / courageous / fearless*; *ἀριστεύς* – *famous / respected*; *pulcherrima* – *pretty / beautiful*.

The epithets are set out in terms of the same semantic point, but metaphorically – with different lexical units. When translating epithets, contextual and linguistic characteristics are preserved. The mentioned way is used by the epic writers for conveying the content more artistically and for intensifying the reader's emotional features: *ὃ δ' ἦϊε νυκτὶ εἰοικώς* – *like the night* (Apollo); *στυγερός* – *awful in his face and strength* (Heracles); *scelerus* – *dishonest* (Diomedes); *ingens* – *defiant* (walls).

Epithets are presented metaphorically, with a different lexical unit that is true to the context, but semantically so different from the original, that the reader may perceive it differently: *ἀθανάτοιο* – *fragrant* (hair); *νηλής* – *wild* (Heracles); *ἄταρτηρός* – *unconscious* (Mentor); *semivir* – *Eunuch* (Aeneas); *socius* – *kind* (word) *urbs* – *kind and warrior, full of abundance* (Carthage).

The epithets are completely different from the original text. They are translated completely differently: *ὑβρις* – *dull* (Heracles); *obnixi*

– *sharpened* or added by the translator: *the inevitable case of fate; goddess (grooms); the killer of his father* – epithet is added by the translator according to the context, though such epithet is not given in original text (δολομίτην, ὃ οἱ πατέρα κλυτὸν ἔκτα).

During the translation of epithets from ancient epic poetry there are three main reasons for this kind of lexical variation: there is no lexical unit in the translation language that is unique to the transcript used in the original text; The author is forced to modify the epithet according to the context or situation in order to make it understandable for the reader; The author wants to add artistic diversity to the text.

Key words: ancient epic poetry, epithet, translation, Homer, Apollonius, Vergil

ანტიკური ეპიკური პოეზიის ძირითად საიდენტიფიკაციო ნიშანს ექსპრესიულობა წარმოადგენს. შესაბამისად, სტილისტური ხერხები და განსაკუთრებით, ეპითეტი მისი წამყვანი მხატვრული ელემენტია. ჩვენს მიერ შერჩეულ საკვლევ ავტორთა შემოქმედებაში ეპითეტი ძირითადი ლექსიკურ-გრამატიკული ერთეულია, რომელიც მნიშვნელოვნად აძლიერებს მკითხველის რეალისტურ აღქმას და ახდენს სიტუაციის ინტენსიფიკაციას. ეპითეტს ერთდროულად გააჩნია როგორც შემეცნებითი, ასევე, ესთეტიკურ-ემოციური ბუნება.

ჰომეროსის, აპოლონიოსისა და ვერგილიუსის პოემებში ასახული ეპითეტები და მათი ფუნქციური თავისებურებები ჩემი სადისერტაციო კვლევის საგანია (ეპითეტი როგორც მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალება (ჰომეროსი, აპოლონიოსი, ვერგილიუსი), რომელზეც 2016 წლიდან ვმუშაობ. შესაბამისად, უწყვეტად ვეცნობი იმ ძირითად თეორიულ პოზიციებს, რომლებიც საკითხთან დაკავშირებით სხვადასხვა დროს შეიქმნა. შესწავლილი მასალიდან გამომდინარე, თავს უფლებას ვაძლევ, გავაკეთო გარკვეული შეფასებები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. ვფიქრობ, ეპითეტი ანტიკურ ეპიკურ პოეზიაში ძირითადი ფსიქო-ლექსიკური მარკერია, რომლის საშუალებით მკითხველს ეძლევა შესაძლებლობა, ამოიცნოს ამა თუ იმ მოვლენისა თუ მხატვრული სახის ემოციური ბუნება. ეპითეტები გვიქმნის წარმოდგენას პერსონაჟზე, რაც, თავის მხრივ, ქმნის გარკვეულ წინასწარგანწყობას მოქმედების მომავალ განვითარებასთან დაკავშირებით.

არ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, ეპითეტი იქნება განპირობებული ემოციური, ფსიქოლოგიური თუ სხვა ინტენციონალური მნიშვნელობით,

ნებისმიერ შემთხვევაში, მას პერსონაჟის ინდივიდუალიზების ფუნქცია ეკისრება. ეპითეტი არის პიროვნების საიდენტიფიკაციო ძირითადი ნიშანი, რომლის საშუალებითაც მხატვრული სახე აღიქმება დამოუკიდებელ პერსონად/პერსონაჟად. ეპითეტი ანტიკურ ეპიკურ პოეზიაში, კერძოდ, ჰომეროსის, აპოლონიოსისა და ვერგილიუსის შემოქმედებაში, ხშირად გვაცნობს ავტორის მხატვრული წარმოსახვის ცენტრალურ ფიგურას და წარმოგვიდგენს მის დამოკიდებულებებს აღსაწერის მიმართ.

ტექსტში ეპითეტების საშუალებით შექმნილი მხატვრული თუ ემოციური ეფექტებიდან გამომდინარე, ანტიკური ეპიკური ტექსტების ქართულ ენაზე გადმოცემის დროს ეპითეტის თარგმნას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, რადგანაც მეტწილად, სწორედ მისი საშუალებით ხდება ყოველი მხატვრული სახის ინდივიდუალიზება. შესაბამისად, ეპითეტი მაქსიმალური მიმსგავსებით უნდა იყოს გადმოტანილი თარგმანის ენაზე, როგორც ლინგვისტური, ისე ექსტრალინგვისტური სიტუაციის გათვალისწინებით (მიმოხილვისთვის შდრ. Scully 2006; პასაკოსი, რაადი 2009; ინკი, მონტგომერი 1944; Vijunas 2015).

ძირითადად, კვლევაში წარმოდგენილი ეპითეტების თარგმნას თვითონ შევეცადეთ. პარალელურად, დიდ დახმარებას გვიწევდა ის ფაქტი, რომ ყოველი საკვლევი ტექსტი მაღალი ხარისხით არის ნათარგმნი ქართულ ენაზე.

საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ეპითეტებს შემდგომი თარგმანებიდან: ილიადას რ. მიმინოშვილის (პოეტური ვერსია) და ლ. ბერძენიშვილის (პროზაული ვერსია) თარგმანი; ოდისეას ზ. კიკნაძისა და თ. ჩხენკელის (პროზაული ვერსია) და პ. ბერაძის (პოეტური ვერსია) თარგმანი; არგონავტიკას ა. ურუშაძის თარგმანი; ენეიდას რ. მიმინოშვილის (პოეტური ვერსია) და ლ. ბერძენიშვილის (პროზაული ვერსია) თარგმანი.

კვლევის პროცესში სირთულეს წარმოადგენდა ქართულ ენაზე ჩვენ მიერ ეპითეტის თარგმნის სიზუსტე. ზოგჯერ გვიჭირდა გადაწყვეტილების მიღება, თუ რომელი ფორმა იქნებოდა უფრო ზუსტი და კონტექსტისთვის შესაბამისი კონკრეტულ მონაკვეთში. მეტი თავდაჯერებულობისთვის, მოვიძიეთ აღნიშნული ეპითეტების ინგლისური თარგმანები და შევადარეთ ქართულ ვარიანტებს.

გავეცანით საილუსტრაციო ეპითეტების რუსულ თარგმანებსაც. შეიძლება ვთქვათ, რომ რუსული თარგმანი, მხატვრულობისა და სიზუსტის მიხედვით, რიგ შემთხვევებში ჩამორჩება, როგორც ორიგინალ ტექსტში წარმოდგენილ ეპითეტებს, ისე, მათ ქართულ თარგმანებს. ზოგჯერ რუსულ თარგმანებში ვაწყდებით ეპითეტების გამოტოვების,

ან უზუსტოდ თარგმნის პრეცედენტებს, სადაც ნათარგმნი ეპითეტები არ პასუხობს იმ ამოცანას ემოციურობის თვალსაზრისით, რაც ავტორს უნდა დაესახა.

მართალია, რუსული ენა, სხვა ენებთან შედარებით, უკეთ ახდენს დაქტილური ჰექსამეტრით გართიმული პოემის იმიტაციას უღერადობის მიხედვით, რამდენადაც მას აქვს მკვეთრი მახვილი, მაგრამ ეს არ ცვლის ვითარებას ეპითეტების თარგმნის ხარისხთან მიმართებაში. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართულ ენაში გრამატიკული მახვილის არარსებობის საკომპენსაციოდ, ჩვენ შეგვიძლია დავინმაროთ ლოგიკური მახვილი, თუმცა, პრობლემას სრულიად წყვეტს ის ფაქტი, რომ ჩვენ მოგვეპოვება ჩვენს მიერ შერჩეული, დაქტილური ჰექსამეტრით გამართული ტექსტების პროზაული თარგმანები.

კვლევისა და ანალიზის პროცესში გამოიკვეთა, რომ ჰომეროსის, აპოლონიოსისა და ვერგილიუსის ტექსტების თარგმანებში, ეპითეტების ქართულ ენაზე გადმოცემის საკითხში, რამდენიმე განსხვავებულ რეალობას ვხვდებით:

ეპითეტები გადმოცემულია აბსოლუტური სიზუსტით

ასეთ შემთხვევებში, ეპითეტის თარგმნისას, სრულად დაცულია როგორც კონტექსტუალური, ასევე, გრამატიკული და ლექსიკური შტრიხების სიზუსტე. მთარგმნელი პოულობს ანტიკურ ეპიკურ ტექსტში წარმოდგენილი ეპითეტის მაქსიმალურად მიმსგავსებულ ვარიანტს/ანალოგს და წარმოადგენს მას შესაბამისი კონტექსტითა და გრამატიკული ფორმით. საილუსტრაციოდ არაერთი მაგალითის მოყვანა შეგვიძლია: ჰომეროსის პოემაში ილიადა აგამემონის მოიხსენიებს აქილევსი ეპითეტით *φιλοκτεανώτατε*, რაც ცალსახად ნეგატიურ ფიგურად აქცევს ალსაწერს, რადგანაც გამოხატავს მის დამოკიდებულებას „მოგების“ მიმართ. ვფიქრობ, ეპითეტის პირდაპირი თარგმანი იქნებოდა *მოგების ხარბი*. ეპითეტს რომან მიმინოშვილი თარგმნის, სიტყვით — *გაუმადლარი* (I. 123). ჩემი აზრით, მოცემულ შემთხვევაში, ნათარგმნი ეპითეტი ზუსტად შეესაბამება ორიგინალს. მეტყველი პირი (აქილევსი) ცდილობს, გამოხატოს მისი ნეგატიური დამოკიდებულება ალსაწერის მიმართ და ამას მისი პერსონალური თვისებების ხაზგასმით ახდენს, რაც მის გაუმადლარ ბუნებაში მდგომარეობს. ამასთან, მოცემული ეპითეტი წარუშლელად რჩება მკითხველის აღქმაში და ის ხდება მთავარი პერსონაჟის ერთ-ერთი ძირითადი საიდენტიფიკაციო შტრიხი.

პოემაში *ოდისეა* წამყვანი გმირი — ოდისევსი დახასიათებულია ეპითეტით *ἀντιμῆξ*. ვფიქრობ, ეპითეტი გამოხატავს იდეას, რომ

პერსონაჟი ღმერთებთან მიმსგავსებული ადამიანია, ღმერთების მსგავსია. ინგლისურ თარგმანში ეპითეტი გამოტოვებულია, რუსულ თარგმანში კი, წარმოდგენილია, როგორც *Боготодобною*. აღნიშნული ეპითეტი პ. ბერადის თარგმანში გადმოცემულია, როგორც *ღმერთკაცი* (I. 21). ასე ხასიათდება წამყვანი პერსონაჟი როგორც ავტორის, ისე, სხვა პერსონაჟთა მეტყველებაში. ვფიქრობ, აქაც, საქმე გვაქვს ზუსტ თარგმანთან — ეპითეტი აბსოლუტურად შეესაბამება ორიგინალს. ამავე ეპითეტით ავტორი ახასიათებს აქილევსის პერსონაჟსაც (XVI. 798). ორივე შემთხვევაში, ეპითეტი ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური სიტუაციების სრული დაცვით არის ნათარგმნი.

ასეთივე სიზუსტით არის ნათარგმნი ეპითეტი *δυσασχής*, რომელიც პოემაში *არგონავტიკა* წარმოდგენილია, როგორც მამრობითი სქესის ჯგუფის აღმწერი. ეპითეტი აქცენტს აკეთებს პერსონაჟის მკვებარა ხასიათზე და მამაკაცთა კონკრეტულ ჯგუფს წარმოადგენს, როგორც ტრაბახა საზოგადოებას. პოეტურ თარგმანში აკაკი ურუშაძე იყენებს ლექსიკურ ერთეულს — *ბაქია*, რაც სრულიად შეესაბამება ორიგინალს, როგორც მისი ლინგვისტური განმარტების, ასევე, კონტექსტისა და სიტუაციის მიხედვით (III. 976).

ვერგილიუსის პოემაში *ენეიდა* გოდოლების აღსაწერად გამოყენებულია ეპითეტი *oculus referent*. ვფიქრობ, რომ ეპითეტის საშუალებით ავტორი ახდენს კონკრეტული საგნისთვის საიდენტიფიკაციო ნიშნის მინიჭებას და მკითხველში მისი უცვლელი ხატის შექმნას. მოცემული ეპითეტი ერთდროულად შეიძლება გაერთიანდეს როგორც კერძო ეპითეტების, ისე ესთეტური აღმწერების ჯგუფში, რადგან ის კონკრეტული ობიექტების ესთეტურ დახასიათებას/აღწერას ახდენს და შეიძლება, ვთარგმნოთ, როგორც *თვალისთვის მიუწვდომელი*. ეპითეტით დახასიათებულია მხოლოდ გოდოლები და სხვა საგანთა აღსაწერად ის გამოყენებული არ არის. ინგლისურ თარგმანში ეპითეტი მოცემულია, როგორც *highest*. რუსულ თარგმანში აღნიშნული ეპითეტი გადატანილი არ არის — გამოტოვებულია. მოცემული ეპითეტი რომან მიმინოშვილის თარგმანში გადმოცემულია ლექსიკური ერთეულით — *თვალშეუდგამი*, რაც სრულ თანხვედრაშია ორიგინალი ეპითეტის შინაარსთან, როგორც მისი სემანტიკური, ასევე კონტექსტუალური ხასიათით (XII. 655).

**ერთსა და იმავე ეპითეტის გადმოსაცემად გამოყენებულია
სხვადასხვა ლექსიკური ერთეული, რომელსაც აქვს მსგავსი/
იდენტური სემანტიკური მნიშვნელობა**

მთარგმნელი წარმოადგენს ანტიკურ ეპიკურ ტექსტში მოცემული ეპითეტის რამდენიმე ვარიაციას, რომელთაგან ყველა შესატყვისია იმ კონტექსტისათვის, რაც ორიგინალ ტექსტში არის წარმოდგენილი და არ არღვევს იმ ძირითად იდეას, რისთვისაც ავტორმა მოცემული ეპითეტი გამოიყენა. რიგ შემთხვევებში შესაძლოა, კონკრეტული ეპითეტი არ არის ორიგინალში მოცემული ეპითეტის იდენტური, მაგრამ ის არ ცვლის მხატვრული სახის ხასიათს და სათარგმნ ვარიანტთან მაქსიმალურად არის მიმსგავსებული.

ჰომეროსის პოემების თარგმანებში ვხვდებით შემთხვევებს, როდესაც ერთი ეპითეტი სხვადასხვაგვარად, სინონიმური სიტყვებით არის გამოხატული. ასეთია, მაგალითად, ჰექტორის მიმართ გამოყენებული ეპითეტი *κορθαίσιος*, რომელიც მისი საბრძოლო იარაღის დიდებულებაზე ამახვილებს ყურადღებას. რუსულ თარგმანში მოცემული ეპითეტი რიგ შემთხვევებში გამოტოვებულია, სხვა შემთხვევაში კი ნათარგმნია ერთგვარად — *шлемоблещущий*. ეპითეტი რომან მიმინოშვილის მიერ შესრულებულ პოეტურ ვერსიაში ნათარგმნია ორგვარად: *ზურმოელვარე / ჩაჩქანმოელვარე* (II. 816; III. 83; V. 601; VI. 116; V. 680). ლევან ბერძენიშვილის მიერ შემოთავაზებულ პროზაულ თარგმანში კი, როგორც *მუზარადმოელვარე*. ფაქტია, რომ ერთი ეპითეტის თარგმნისას რომან მიმინოშვილს სხვადასხვა ლექსიკური ერთეული აქვს გამოყენებული, თუმცა, მათი სემანტიკური მნიშვნელობა იდენტურია.

იასონის დასახასიათებლად აპოლონიოსი იყენებს ეპითეტს *θαρσαλέας*. ეპითეტი მხატვრული სახის წამყვანი საიდენტიფიკაციო აღმწერია და წარმოადგენს მას, როგორც უშიშარ პერსონაჟს. აღწერილი ეპითეტი აკაკი ურუშაძის მიერ შესრულებულ პოეტურ თარგმანში რამდენიმე ლექსიკური ფორმით არის წარმოდგენილი: *მამაცი / ვაჟკაცი / უშიშარი* (აპ. როდ. არგ. I. 349; I. 844; III. 1370). ინგლისურ თარგმანში ეპითეტი წარმოდგენილია აღმწერით: *with full confidence*. ამ შემთხვევაში, შეგვიძლია ვთქვათ, რომ კონკრეტული ეპითეტი ქართულ ენაზე ნათარგმნია არა ერთი, არამედ რამდენიმე, მაქსიმალურად მიმსგავსებული ეპითეტით. აქვე, შეიძლება ეჭვქვეშ დავაყენოთ რომელიმე მათგანის იდენტურობა ორიგინალ ტექსტში მოცემულ ეპითეტთან. მაგალითად, შეიძლება ვიმსჯელოთ იმის შესახებ, რომ ეპითეტის *ვაჟკაც* მნიშვნელობა ზუსტად არ ემთხვევა ორიგინალ ტექსტში წარმოდგენილ ეპითეტს.

პოემაში არგონავტიკა კირონეს ავტორი ახასიათებს ეპითეტით *ἔσθλός*, რაც ახდენს გმირის კეთილშობილებისა და დადებითი პერსონალური მახასიათებლების — ვაჟკაცობის, გამბედაობის ხაზგასმას. აკაკი ურუშაძის მიერ შესრულებულ თარგმანში აღნიშნული ეპითეტი ნათარგმნია, როგორც *გმირი* (I. 59), ინგლისურ ენაზე კი, როგორც *brave*. ვფიქრობ, რომ ამ შემთხვევაში ეპითეტი აბსოლუტური სიზუსტით არ პასუხობს ორიგინალ ტექსტში მოცემული ეპითეტის სემანტიკურ მნიშვნელობას, თუმცა, ამავე დროს, ის არ არღვევს მხატვრული სახის მთლიან აღქმას მკითხველში და კონტექსტში იმავე მნიშვნელობით ჯდება, რაც ავტორის მიზანს წარმოადგენდა.

იგივე შეიძლება ვთქვათ ეპითეტზე *pulcherrima*, რომელსაც ვერგილიუსი იყენებს პოემაში *ენეიდა*. ეპითეტი ქალის ვიზუალურ მშვენიერებას უსვამს ხაზს და ის ერთდროულად წარმოადგენს როგორც დიდოს კერძო, მაინდივიდუალიზებულ ეპითეტს, ასევე, ესთეტიურ აღწერას, რომელიც მკითხველში ესთეტიური განცდის შექმნასა თუ გაძლიერებას ემსახურება. ვფიქრობ, ეპითეტი შეიძლება ვთარგმნოთ, როგორც ფიზიკური მშვენიერების აღმწერი ლექსიკური ერთეული — *ლამაზი, მშვენიერი, მომხიბვლელი, თვალწარმტაცო...* რომან მიმინოვილის თარგმანში მოცემული ეპითეტი გადმოცემულია, როგორც *ლამაზი* და როგორც *მშვენიერი* (I. 496; IV. 308). ე.ი. ამ შემთხვევაშიც ხდება სიტყვის გამრავალფეროვნება, თუმცა მათი მნიშვნელობა იდენტურია.

ეპითეტები გადმოცემულია სემანტიკური მხარის დაცვით, მაგრამ მეტაფორულად — განსხვავებული ლექსიკური ერთეულით

ასეთ შემთხვევაში, ნათარგმნი ეპითეტის ლექსიკური მნიშვნელობა არ უტოლდება ორიგინალ ტექსტში წარმოდგენილ ეპითეტს, თუმცა, ის მეტაფორულად ახდენს იმავე აზრის გადმოცემას, რაც საწყის ტექსტშია. ეპითეტის თარგმნისას დაცულია კონტექსტუალური და ენობრივი მახასიათებლები.

ჰომეროსის პოემაში აპოლონ ღმერთის აღსაწერად გამოყენებულია ეპითეტი *ὄ μ' ἦϊε νυκτὶ ἔοικώς*, რაც გამოკვეთს, რომ ღმერთი აპოლონი ღამესავით ბნელია და აქცენტს აკეთებს უკვდავის მკაცრ, შეუვალ ხასიათზე და დაუნდობელ ქმედებებზე. ვფიქრობ, ეპითეტი შეიძლება ვთარგმნოთ, როგორც *შესახედად ღამესავით ბნელი*. აღნიშნული ეპითეტი აღსაწერის საიდენტიფიკაციო კერძო ეპითეტია და ის ერთდროულად ახდენს როგორც პერსონაჟის ინდივიდუალიზებას, ასევე მეტაფორულად მისი პიროვნული თვისების ხაზგასმას. ინგლისურ თარგმანში წარმოდგენილია ეპითეტი *with a face as dark as night*. რუსულ

თარგმანში მოცემულია ეპითეტი *ночи подобный*. რომან მიმინოშვილის მიერ შესრულებულ ქართულ თარგმანში კი, — *პირლამიანი* (I. 47). ამავე ეპითეტს ლევან ბერძენიშვილი თარგმნის, როგორც *ლამესავით პირქუში*. ეპითეტი *პირლამიანი*, ლექსიკური თვალსაზრისით, არ არის ბერძნული ვარიანტის იდენტური, თუმცა, მეტაფორულად ის იგივე აღქმას უქმნის მკითხველს, რასაც ორიგინალ ტექსტში წარმოდგენილი აღმწერი. მთლიანობაში, შეიძლება ითქვას, რომ, მართალია ეპითეტი ლექსიკურად არ არის საწყისი ტექსტის იდენტური, თუმცა ის იმავე მნიშვნელობით ავითარებს როგორც მხატვრული სახის ხასიათს, ისე ემოციურ ფონს.

აპოლონიოსის პოემაში *არგონავტიკა* ჰერაკლე დახასიათებულია ეპითეტით *βλώτατος ἕβρις καὶ δέμας*, რაც გამოხატავს იმას, რომ პერსონაჟის ვიზუალი შიშის მომგვრელია მხილველისათვის — *საშიში მისი სახით*. ინგლისურ თარგმანში ვკითხულობთ ეპითეტს: *most grim in form*. აკაკი ურუშაძის პოეტურ თარგმანში კი ვკითხულობთ: *თავზარდამცემი სახით და ღონით* (IV. 1435). მოცემული ეპითეტი არ არის ორიგინალ ტექსტში წარმოდგენილი ეპითეტის იდენტური, თუმცა მეტაფორულად იმავე შინაარსის მატარებელია.

ვერგილიუსი ახასიათებს დიომედეს ეპითეტით *scelerus*, რაც ხაზს უსვამს პერსონაჟის ბოროტებას და უგვან ხასიათს. ინგლისურად ეპითეტი ნათარგმანია, როგორც *bold scorners*. რომან მიმინოშვილის თარგმანში ეპითეტი წარმოდგენილია ლექსიკური ფორმით — *უპატიოსნო* (II. 164). ამ შემთხვევაშიც ნათარგმნი ეპითეტი ლექსიკურად განსხვავდება ორიგინალისგან, თუმცა, ის მეტაფორულად იმავე შინაარსის მატარებელია.

ეპითეტები გადმოცემულია მეტაფორულად, განსხვავებული ლექსიკური ერთეულით

ეს ლექსიკური ერთეული მართალია, შეესაბამება კონტექსტს, მაგრამ სემანტიკურად იმდენად განსხვავდება ორიგინალისგან, რომ, შესაძლოა, მკითხველმა მოახდინოს მისი განსხვავებულად აღქმა. ამგვარი ეპითეტების მნიშვნელობა შეიძლება, სხვადასხვაგვარად იყოს აღქმული. აღნიშნულ ჯგუფში ერთიანდება იმგვარი ეპითეტები, რომლებიც პერსონიფიკაციის გზით არის ნაწარმოები.

ჰომეროსი ახასიათებს ზევსის თმას ეპითეტით *ἀθανάτοιο*, რაც ზევსის მსგავსად, მისი თმის/თავის უკვდავებაზე მიუთითებს — *უკვდავი*. ინგლისურ თარგმანშიც ეპითეტი უკვდავების იდეას ატარებს — *immortal*, რუსულ თარგმანში მოცემულია ეპითეტი *бессмертной*. ქართული თარგმანებიდან, ლევან ბერძენიშვილის მიერ შესრულებულ

პროზაულ ვარიანტში ეპითეტი აბსოლუტური სიზუსტით არის ნათარგმნი — უკვდავი. რომან მიმინოშვილის შესრულებულ პოეტურ თარგმანში კი, მოცემული ეპითეტი ჩანაცვლებულია ეპითეტით — სურნელოვანი (I. 530). მოცემულ შემთხვევაში განსხვავდება, როგორც სემანტიკური მნიშვნელობა, ისე ეპითეტის სახე — წარმოდგენილია ესთეტიური შეფასების ეპითეტი ჭეშმარიტების აღმწერი ეპითეტის ნაცვლად.

პოემაში ოდისეა ლეოკრიტი ევენორიდე ახასიათებს მენტორს ეპითეტით *ἀπαρτηρός*, რაც გამოხატავს იმას, რომ პერსონაჟი არ არის სანდო, შესაძლოა, თავად დაუშვას და სხვაც შეიყვანოს შეცდომაში. აღნიშნული ეპითეტი აღწერს პერსონაჟს, როგორც საეჭვო პირს. ინგლისურ თარგმანშიც ეპითეტი წარმოდგენილია, როგორც *mischief-maker*. რუსულ თარგმანში ეპითეტი ნათარგმნია, როგორც *bezрассудный*, პანტელეიმონ ბერაძის თარგმანში ეპითეტი ნათარგმნია როგორც *ჭკუადაძებვეული*, ზურაბ კიკნაძისა და თამაზ ჩხენკელის თარგმანში კი, ეპითეტი გადმოცემულია, როგორც *დამბხვეული* (II. 243). ორივე შემთხვევაში, ეპითეტს აქვს განსხვავებული სემანტიკური მნიშვნელობა, თუმცა, ვფიქრობ, მეტაფორულად ის იმავე იდეის გამომხატველია, რასაც ორიგინალ ტექსტში მოცემული ეპითეტი ატარებს.

აპოლონიოსი ახასიათებს ჰერაკლეს ეპითეტით *νηλῆς*, რაც ხაზს უსვამს პერსონაჟის ქედმაღლობას და მოძალადე ბუნებას და შეიძლება ვთარგმნოთ როგორც *ქედმაღალი/მოძალადე*. ინგლისურ თარგმანში აღნიშნული ეპითეტი ამგვარად არის გადმოცემული: *a man fell in wanton violence*. აკაკი ურუშაძე ეპითეტის სხვაგვარ ვარიაციას გვთავაზობს და თარგმნის როგორც *ველური* (IV. 1436). ეპითეტი არა მხოლოდ სემანტიკურად განსხვავდება ორიგინალ ტექსტში წარმოდგენილისგან, არამედ, შესაძლოა სხვაგვარად მოხდეს მისი აღქმა.

ვერგილიუსი ახასიათებს სიტყვას ეპითეტით *socius*, რაც სიტყვის შემრიგებლურ, სოციალურ ბუნებაზე და დანიშნულებაზე მიგვიბრუნებს. ეპითეტი ინგლისურ თარგმანში წარმოდგენილია, როგორც *vexed with grief and care*. რომან მიმინოშვილის თარგმანში ვხვდებით სემანტიკურად განსხვავებულ ეპითეტს — *კეთილი* (ვერგ. ენ. I. 217).

ეპითეტი სრულიად განსხვავებულია ორიგინალი ტექსტისაგან, ან ჩამატებულია მთარგმნელის მიერ

საკვლევ მასალაში ვხვდებით იმგვარ ეპითეტებს, რომლებიც თარგმნილია სრულიად განსხვავებულად. საილუსტრაციოდ შეგვიძლია, მოვიყვანოთ მაგალითი: აპოლონიოსის პოემაში წარმოდგენილი ეპითეტი *ῥῆρις*, რაც მოძალადეს ნიშნავს, აკაკი ურუშაძის მიერ

გამონათულია ეპითეტით — *კუშტი* (IV. 1437). ეპითეტი გამოყენებულია ჰერაკლეს დასახასიათებლად და მისი კერძო აღმწერია. ამავე ფორმით არის ნათარგმნი *obnixi* — ეპითეტი ვერგილიუსის პომეიდან, — რაც ძლიერს ნიშნავს და რქების აღსაწერად არის გამოყენებული. რომან მიმინოვილის თარგმანში ეპითეტი გამოხატულია, როგორც *გალესილი* (XII. 722). მოცემული მნიშვნელობა სრულიად განსხვავდება საწყისი მნიშვნელობისგან.

საკვლევი ტექსტების თარგმანებში ასევე ვხვდებით იმგვარ ეპითეტებს, რომლებიც ორიგინალ ტექსტში საერთოდ არ იძებნება. ასეთია, მაგალითად, რომან მიმინოვილის მიერ გამოყენებული *ბედისწერის გარდუვალი საქმე* (ვერგილიუსი, *ენეიდა* XII. 819); პანტელეიმონ ბერაძის თარგმანში ეპითეტი — *ულმერთო* (სასიძობები) (ჰომეროსი, *ოდისეა* IV. 701) და *ფლიდი* (ეგისტე) (I. 300). ეპითეტი მთარგმნელს ჩამატებული აქვს კონტექსტის მიხედვით, თუმცა ორიგინალ ტექსტში ამგვარი ეპითეტი არ ფიქსირდება, შესაბამისად, ამგვარი ეპითეტები არ გვხვდება არც ინგლისურად ნათარგმნ ტექსტებში.

ორიგინალ ტექსტებში მოძიებული ეპითეტებისა და მათი თარგმანების ანალიზის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ:

ანტიკური ეპიკური პოეზიის (ჰომეროსი, აპოლონიოსი, ვერგილიუსი) ქართულ თარგმანში წარმოდგენილი ეპითეტები იძლევა ტექსტის მხატვრული და ემოციური ღირებულების სრულფასოვანი აღქმის შესაძლებლობას და შეიძლება ითქვას, რომ უფრო მრავალფეროვან არეალს გვთავაზობს, ვიდრე, მაგალითად ინგლისურ ენაზე შესრულებული თარგმანები. ქართულ თარგმანებში ეპითეტები არა თუ გამოტოვებულია, არამედ, უფრო დიდი სიხშირით, სხვადასხვა ვარიანტად არის წარმოდგენილი.

შესწავლილი ქართულენოვანი ტექსტებიდან, ეპითეტების მიხედვით, უფრო ზუსტ, მრავალფეროვან და მაღალმხატვრულ თარგმანს გვთავაზობს პროზაული ვერსიები, რამდენადაც ამგვარი ფორმა არ ითვალისწინებს დაქტილური ჰექსამეტრით აწყობილი ლექსის რიტმს. ამდენად, ავტორი რიტმული ვალდებულებისგან თავისუფალია შესაბამისი ქართულენოვანი ეპითეტის შერჩევასა.

ანტიკური ეპიკური პოეზიის ტექსტებში წარმოდგენილი ეპითეტების ქართულ ენაზე თარგმანის სხვადასხვა ფორმა გვხვდება. არის იმგვარი ეპითეტები, რომლებიც ნათარგმნია აბსოლუტური სიზუსტით, ეპითეტების ნაწილი მეტაფორულად არის ნათარგმნი, ნაწილი კი სრულიად განსხვავებულია, ან ჩამატებულია მთარგმნელის მიერ.

ანტიკური ეპიკური პოეზიიდან ქართულ ენაზე ეპითეტების თარგმნისას ამგვარ ლექსიკურ ვარირებას ოთხი ძირითადი მიზეზი შეიძლება ჰქონდეს:

- მთარგმნელი გვთავაზობს ეპითეტის თავისუფალ თარგმნას, რათა, გარკვეულწილად, დაიცვას ანტიკური ეპიკური პოეზიისთვის დამახასიათებელი რითმა და რიტმი;
- მიმღებ ენაში არ მოიპოვება ლექსიკური ერთეული, რომელიც თვითმყოფადია ორიგინალ ტექსტში გამოყენებული აღმწერის გადმოსაცემად და მთარგმნელი იძულებულია, ჩაანაცვლოს ის სხვა ლექსიკური ფორმით;
- მთარგმნელს — კონტექსტისა თუ სიტუაციის შესაბამისად — უწევს, შეცვალოს ეპითეტი იმ მიზნით, რომ ის აღქმადი გახდეს მიმღებ ენაზე მკითხველი სუბიექტებისთვის. აქ გარკვეულ როლს თამაშობს სათარგმნ ენაზე მკითხველი აუდიტორიის იდენტობის საკითხი და მენტალური თავისებურებები;
- მთარგმნელი თავად ცვლის, ან ამატებს ეპითეტს შინაარსის უფრო მხატვრულად გადმოცემისა და მკითხველში ემოციური ფონის ინტენსიფიკაციის მიზნით, რაც ეპიკურ პოემას მატებს მხატვრულ მრავალფეროვნებას და უფრო ემოციურს ხდის ტექსტს.

და ბოლოს, მასალაზე მუშაობისას კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, როგორი პასუხისმგებლობა აკისრია მთარგმნელს ავტორისა და მკითხველის წინაშე, მათ შორის, ეპითეტების თარგმნის დროსაც, რათა ავტორის ჩანაფიქრის სიზუსტეც იქნას მაქსიმალურად შენარჩუნებული და იმ ენის სპეციფიკაც იქნას გათვალისწინებული, რომელზეც ორიგინალის თარგმანი ხდება. ერთი არაზუსტად თარგმნილი ეპითეტი და „ქედმაღალი“ აგამემნონი შეიძლება „ამაყ“ პერსონაჟად იქცეს, მაგალითად, როგორც ეს არის რუსულ თარგმანში და გაგვიჭირდეს იმ რეაქციების სწორი აღქმა, რომელიც აქვეყნებს აქვთ მთელი პოემის განმავლობაში თავიანთი მხედართმთავრის მიმართ.

ბიბლიოგრაფია

- როდოსელი, აპოლონიოს, *არგონავტიკა*, თარგმნა ა. ურუშაძემ, თბილისი, გამომცემლობა მეცნიერება, 1970.
- ვერგილიუსი, *ენეიდა*, თარგმნა ლ. ბერძენიშვილმა, თბილისი, ნელი ამაშუკელის სახელობის მთარგმნელთა ფონდი, 2019.
- ვერგილიუსი, *ენეიდა*, თარგმნა რ. მიმინოშვილმა, თბილისი, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 1976.

- ჰომეროსი, *ილიადა*, თარგმნა ლ. ბერძენიშვილმა, თბილისი, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2015.
- ჰომეროსი, *ილიადა*, თარგმნა რ. მიმინოშვილმა, თბილისი, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2013.
- ჰომეროსი, *ოდისეა*, თარგმნეს ზ. კიკნაძემ, თ. ჩხენკელმა, თბილისი, პალიტრა L, 2011.
- ჰომეროსი, *ოდისეა*, თარგმნა პ. ბერაძემ, თბილისი, გამომცემლობა საბჭოთა საქართველო, 1979.
- Homer, *The Odyssey*, With an English translation by Murray A. T. London, William Heinemann LTD, The Loeb Classical Library, 1927.
- Homer, *The Iliad*, With an English Translation by Myrray A. T., London, William Heyneman LTD, 1928.
- Montgomery, Henry, Ink, N., „The Homeric Epithet in Contemporary Literature”, in *The Classical Journal*, vol. 39, 4, The Classical Association of the Middle West and South, 1944.
- Passakos, Constantinos, Raad, Boele, “Ancient Personality: Trait Attributions to Characters in Homer’s Iliad”, in *Ancient Narrative*, Vol. 7, 2009.
- Rhodus, Apollonius, *The Argonautica*, With an English translation by Seaton R.C. William Heinemann, London, The Loeb Classical Library, 1912.
- Scully, Stephen, “Homeric Epithets and Translation”, in *International Journal of the Classical Tradition*, Vol. 12, n° 3, Springer Publishing, 2006.
- Vijunas, Aurelijus, *Translating Ancient Texts into Modern Standardized Languages: Some Considerations*, Riga, The National Library of Latvia, 2015.
- Virgil, *The Aeneid*, Translated by Fagles R., New York, Penguin Books, 2006.
- Вергилий, *Энеида*, Перевод В. Я. Брюсова и С. М. Соловьева, Москва, Academia, 1933.
- Гомер, *Илиада*, Перевод Н. И. Гнедича, Москва Государственное издательство художественной литературы, 1960.
- Гомер, *Одиссея*, Перевод В. А. Жуковский, Санкт-Петербург Наука, 2000.
- Родосский, Аполлоний, *Аргонавтика*, Перевод Н. А. Чистякова, Москва, Наука, 2001.